საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახური
GEORGIA
Administration
of Kutaisi Municipality

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (0431) 24-04-93
3 Rustaveli Ave. Kutaisi. Georgia. 4600
Tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-04-93

N 01/20308
16/09/2016

20308-01-2-201609161529

ფაქტ -მეტრის ჟურნალისტს

ქალბატონ შორენა ლაღაძეს

ქალბატონო შორენა,

თქვენი მომართვის /№20903/01, 5.09.2016წ/ პასუხად გაცნობებთ:

1. ხარებავას ქ.№4ა - მოედნის საფარი მთლიანად დაზიანებულია, აგრეთვე დაზიანებულია შემოღობვა. მოსაწყობია ფეხბურთის კარებები და კალათბურთის ფარები. სპორტული მოედანი საექსპლოატაციოდ უვარგისია, საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას.
2. მე-14 საჯარო სკოლის ეზო - 2016 წლის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მოედნის სრულყოფილი რეაბილიტაცია /შემსრულებელი შპს „გლობალ სტანდარტმშენი“ 2016 წლის 9 აგვისტოს №327 ხელშეკრულება/.
3. მე-15 საჯარო სკოლის ეზო - თავისუფალი ადგილი განთავსებულია სკოლის ეზოში, სადაც დამონტაჟებულია ფეხბურთის კარებებისთვის ბოძები. საფარი მოუწყობელი და შემოუღობავია. საჯარო სკოლამ განათლების სამინისტროსთან კორდინაციით, შეთანხმებითა და დაფინანსებით უნდა მოაწესრიგოს სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა. გამონაკლის შემთხვევებში, მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით სკოლებთან შეთანხმებით (ფორმდება შესაბამისი მემორანდუმი) ვაწარმოებთ სპორტული მოედნების რეაბილიტაციას.
4. ბუკიას ქ.№1 – 2016 წლის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს რეაბილიტაცია /შემსრულებელი შპს „ჯორჯიან ინვესტი“, 2016 წლის 17 აგვისტოს №337 ხელშეკრულება/.
5. ზ. ჭავჭავაძის ქ. №10 - მოსახლეობას თავისუფალი ტერიტორია გამოყენებული აქვს ავტოსადგომად, სპორტული მოედანი ფაქტობრივად არ არსებობს.
6. თაბუკაშვილის ქ. №191 - სპორტულ მოედანზე მოწყობილი იყო ხელოვნური საფარი, რომელიც დაზიანდა დაახლოებით 3 წლის წინ. დაზიანების

ხარისხიდან გამომდინარე ექსპლოატაცია შეუძლებელია. საჭიროებს ახალი საფარის დაგებას და კოსმეტიკურ შეკეთებას.

7. ზ. ჭავჭავაძის ქ. №4ა - სპორტულ მოედანს მიმდინარე წელს ჩაუტარდება გარე განათების მოწყობის სამუშაოებ /შემსრულებელი „ტეგიკა უნივერსალი“, 2016 წლის 22 ივლისის №314 ხელშეკრულება/.
8. ხარებავას ქ. №1 - საფარი და შემოღობვა მთლიანად დაზიანებულია. არ აქვს ბადეები. საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას.
9. ხარებავას ქ.№8 - საცხოვრებელ კორპუსებს შორის, ავტოფარეხებით შემოსაზღვრულ ადგილზე, მოქალაქეთა მიერ მოწყობილია ფეხბურთის კარებებისათვის ძელები. არ აქვს შემოღობვა და საფარიც დაზიანებულია.
10. სულხან-საბას გამზ. №93 - მოწყობილი იყო ხელოვნური საფარი, რომელიც დაახლოებით 3 წლის უკან დაიტაცეს უკანონოდ /როგორც ცნობილია მიმდინარეობდა გამოძიება დატაცების ფაქტზე/. რეაბილოიტაცია აღარ ჩატარებია, ექსპლოატაციისათვის უვარგისია.
11. ზ. ჭავჭავაძის ქ. №6, №8 - მოქალაქეთა მიერ იყო მოწყობილი მოედანი. არ აქვს შემოღობვა, საფარიც დაზიანებულია.

ზემოთ ჩამოთვლილი მოედნები მდებარეობს „ავტოქარხნის“ ადმინისტრაციული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიაზე. ჩამოთვლილთაგან მიმდინარე წელს მიმდინარეობს სამუშაოები 3 ობიექტზე, ხოლო დანარჩენი ობიექტების რეაბილიტაცია მომდევნო წლებში განხორციელდება ეტაპობრივად.

2016 წლის ბიუჯეტის ფარგლებში ქალაქის მასშტაბით რეაბილიტაცია ჩაუტარდება 39 ობიექტს.

ზვიად ჯავახია

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციული სამსახური